

ლუარა სორდია¹

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2023.21.26>

თრობის აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძის და ედგარ პოს შემოქმედებაში

აბსტრაქტი. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ყურადღებას იქცევს ძველისძველი ღვინით, ძვირფასი ღვინით, უკვდავი ღვინით, ცისფერი ღვინით, ყოფნით, ცეცხლით თრობა“. წმინდა წერილში „ძველი, დაწმენდილი ღვინო“, ყოფნა (ცხოვრება), განმანათლებელი ცეცხლი საღვთო სახელებია ისევე, როგორც ვენახი, ვაზი. სიმბოლურ-მეტაფორული აზროვნების დიდოსტატი გალაკტიონ ტაბიძე ამ სახეებს რელიგიური თვალსაზრისით მიმართავდა და რწმენასთან კავშირს უკეთებდა აქცენტს. პოეტი „საუკეთესო ნარკოზად“ არა ღვინოს, არამედ ხელოვნებას მიიჩნევდა („ნარკოზი და ხელოვნება“).

დიდი ამერიკელი პოეტისა და სიტყვის ოსტატის ედგარ ალან პოს შემოქმედებაში ანალოგიური მნიშვნელობით იხსენიება „სპეტაკი ალით“, „იმედით“, „დიდებათ“, „მთვარით თრობა“. „ალი, ცეცხლი, იმედი, დიდება“ საღვთო, ხოლო მთვარე საღვთისმშობლო სახელებია და ამ შემთხვევაშიც რწმენასთან კავშირზე ხდება მინიშნება.

ნაშრომში კომპარატივისტული კვლევის მეთოდის საფუძველზე, გაანალიზებულია თრობის აპოლოგიის კონცეპტი გალაკტიონ ტაბიძისა და ამერიკელი პოეტისა და ნოველისტის ედგარ ალან პოს შემოქმედებაში. ორივე პოეტი თრობის კონცეპტით, მტანჯველ მოგონებებს, დაუძლეველი მარტოობის შეგრძნებებს ებრძოდა და გაურკვეველ ბედისწერას რწმენაში ეძებდა.

საკვანძო სიტყვები: გალაკტიონ ტაბიძე, ედგარ ალან პო, პოეზია, თრობის აპოლოგია, ღვინო, ღვინის ფერი, უკვდავი ღვინო, ცისფერი ღვინო.

¹ **ლუარა სორდია.** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

An Apology of Drunkenness in the Works of Galaktion Tabidze and Edgar Poe

Abstract. The American master of words Edgar Poe and the king of Georgian poets Galaktion Tabidze often referred to drunkenness of being, life, fire, wine, hope, but this metaphorical statement does not refer to drunkenness of alcohol, but to the faith of Christian religion, because being, life, fire, wine, hope are divine are the divine names according to Holy Scripture.

Galaktion Tabidze's poetry draws attention to the concept of drinking with ancient wine, precious wine, immortal wine, blue wine, being, and fire. In the Holy Scripture, "old, purified wine," being (living), and enlightening fire are divine names, as are vineyard and vine. Galaktion Tabidze, a great master of symbolic-metaphorical thinking, addressed these images from a religious perspective and emphasized their connection with faith. The poet considered art, not wine, to be the "best narcotic" ("Narcotics and Art").

In the works of the great American poet and master of words, Edgar Allan Poe, "drinking with white flame," "hope," "greatness," and "the moon" are mentioned with a similar meaning. "Flame, fire, hope, glory" are divine names, while "moon" is the name of the Mother of God, and in this case, too, the connection with faith is alluded to.

In this scientific study, based on the comparative research method, the concept of the apologetics of the throb in the works of Galaktion Tabidze and the American poet and novelist Edgar Allan Poe is analyzed. Both poets, using the concept of throb, struggled with painful memories, feelings of insurmountable loneliness, and sought an uncertain destiny in faith.

Keywords: Galaktion Tabidze, Edgar Allan Poe, poetry, apologetics of the throb, wine, wine color, immortal wine, blue wine.

შესავალი. გალაკტიონი იყო მზითუმოსილი („მე სხვა მზე მმოსავს“), სიხარულმემოსილი, გაზაფხულმემოსილი („მე სიხარული მემოსა და გაზაფხულის ოცნება“). მზე, სიხარული, გაზაფხული (ძველი ქართულით ზაფხული) საღვთო სახელებია, რაც ქართველი პოეტის მორწმუნეობას უკეთებს აქცენტს.

გალაკტიონის პიროვნებისა და პოეზიის შესახებ შექმნილი ლეგენდებიდან განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი ბახუსისმოყვარეობის ვერსია, რაც კიდევ უფრო მეტ შთამბეჭდაობას სძენდა ენიგმების დიდოსტატის სახეს, რადგან

² **Luara Sordia.** Doctor of Philology. Professor at Sokhumi State University.

მკითხველს მრავალგზის უწევდა შეხვედრა როგორც ღვინით, ისე, პოეზიით გაბრუებულ დიონისოს ქართველ ორეულთან.

გონიერი თანამემამულენი იმთავითვე ცდილობდნენ თრობის ცნებაში დაფარული ქვეტექსტების, არაერთმნიშვნელოვანი აზრის ძიებას და მხატვრული სიტყვის მეტრის „ლოთობას“ არასოდეს აიგივებდნენ ჩვეულებრივთა ღვინისმოყვარეობასთან.

ამ ლეგენდის ქვეშ შეფარული აზრი გვამცნობდა, რომ ერის სათაყვანო პოეტს პრიმიტიული გონის სატანისტური ხელისუფლება არათუ ვერ უგებდა, ფილას დარდით, მხამით, საწამლავებით უვსებდა. ეს „გაუგებარი გენიის“ პოეტი ხშირად თვითონვე ირგებდა ლოთის, ღვინით გაღებულ, აპოლიტიკური, გულუბრყვილო ადამიანის ნიღაბს, რათა ნიჭით გამორჩეულ, მოუთვინიერებელ, დინების წინააღმდეგ მავალ დიდოსტატებზე მონადირე ხელისუფლების ჭანგებს ამ გზით მაინც დასხლტომოდა. მაგრამ მეფისტოფელის საუკუნეში ქორის თვალისა და ამოფრქვეული მრისხანება რჩეულთა ბედისწერა გამხდარიყო პოეტის თანამედროვეთ არავინ ეხილათ ამ ზომამდე, ამდენი რამით მთვრალი, რაც სვინქსის საიდუმლოთა ამოცნობის სურვილს კიდევ უფრო ამძაფრებდა.

დისკუსია. გალაკტიონის ლექსებში გამუდმებით კეთდებოდა აქცენტი ღვინის საათზე, თრობის საათზე, ყოფნით თრობაზე, ცეცხლით თრობაზე, მოგონებით თრობაზე, დარდებით თრობაზე, „ცისფერი ღვინოების“ მონატრებაზე.

ესაია წინასწარმეტყველი ღვინის და ნადიმის სიმბოლური სახით ასე წარმოგვიდგენს ძე ღმერთის მოვლინებას სამყაროში: „გაუმართავს ცაბაოთ უალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი, დაწმენდილი ღვინით“ (25, 6) (ბიბლია 2013: 546).

„სულიერი ღვინო, ზეციური ღვინით საზრდოობა განწმენდს სულიერი წყლების სიბილწეს და მას სრულ სიჯანსაღეს მიანიჭებს“, შეგვაგონებს წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი (სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა 1990: 162-163).

გალაკტიონის მიზანი არა ჩვეულებრივთათვის დამახასიათებელი თრობა იყო, არამედ „ცისფერ ღვინოსთან“ ზიარება, რაც ტანჯვის გზით მუსიკალურ სიტყვას აზიარებდა: „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს, ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით და შემდეგ უცნობ პიანინოებს ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით“ (ტაბიძე 2014: 190). ბიბლიის „დაწმენდილი ღვინის“ ტოლფარდია გალაკტიონის ღვინო, როგორც მას ახასიათებს, „ცისფერის“ ეპითეტიტ მოაზრებული.

ანალოგიური ჩანაფიქრია პოეტის „ძველისძველი ღვინის“ სახეშიც: „ძველისძველ ღვინოს და მძიმე მტევნებს, ფვერიულად მკრთოლავ აკიდოს სვამს და თავისთვის თვალყურს ადევნებს, რომ თვალებს რული არ მოაკიდოს. გამოფხიზლება მისი უდაო სხვა მოგონებებს უტოვებს სირცხვილს, რადგან წარსულმა მას დაუტოვა გადაუხდელთა იმედთა რიცხვი“ („ძველისძველ ღვინოს“) (ტაბიძე 2014).

პოემა „მშვიდობის წიგნში“ ყოველგვარი სენის მკურნავი „ძველი ღვინო“ – ღმერთი: „... ხომ კაცს რაც რომა არ სჭირდეს სენი – ძველი ღვინოა მისი მომრჩენი“ (ტაბიძე 1973: 286). აქვე „ღვინო“ და წმინდა ნინოს ჯვარია სიხარულის წყარო: „გულსა კაცისას ახარებს ღვინო, ჯვარს თლის ვაჟისას თვით წმინდა ნინო“ (ტაბიძე 1973: 46). გალაკტიონი წუხდა: „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით და მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი“ (მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით) (ტაბიძე 1977: 122).

ყოფნა, ცხოვრება ქრისტეს სახელია სახარებაში: „მე ვარ გზა, ცხოვრება, ქმ-მარიტება“ (იოანე, 14, 6) (ახალი აღთქმა და ფსალმუნები 1992: 211). უსხეულო ცეცხლი, მარადიული ცეცხლი, უჩინარი ცეცხლი, ფარული ცეცხლი, წმინდა ცეცხ-ლი საღვთო სახელებია. ცეცხლით და ყოფნით თრობა რწმენასთან ზიარებას უს-ვამს ხაზს – ლექსში „მოგონებები“ ძვირფასი ღვინის მიგნება ხდება თასით და წიგნით: „შენ მხარზე ღოქით, მე ხელში წიგნით მოვედით მარანს, მივედით მა-რანს, შევედით შიგნით, ჭურს მტვერი ფარავს. არ ჩნდა მემარნე და ჩვენ ძვირფასი ღვინო მოვიგნეთ, უკვდავი ღვინო: შენ ჩემი თასით, მე შენი წიგნით“ („მოგონებე-ბი“) (ტაბიძე 1977: 781).

„ძვირფასი ღვინო, უკვდავი ღვინო“ ქრისტეს სიმბოლოა, „მემარნე“ და „წიგ-ნი“ – მამაღმერთის, თასი – მარიამ ღვთისმშობლის. სხვაგან მამაღმერთი წარმო-ისახება, როგორც „მელვინე“, ძე ღმერთი – „ღვინო“: „შენ მელვინე, ღვინო გვასვი, თვალს ნუ მიეძინება, ფიქრები გვაქვს ასჯერ ასი, როგორც ღრუბლის დინება“ („ეს მძინარე მთა და ველი“) (ტაბიძე 1977: 219).

პოეტი თვრებოდა პოეზიით, მოგონებებით და ქვითინებდა ათეისტურ ეპო-ქაში დაკარგულ რწმენაზე: „დამათრობელი, როგორც ჩემი მოგონებები, წინ მიდ-გას ღვინო, ლალისფერი და ძველი ღვინო, ვსვამ განუწყვეტლივ, ვსვამ, რომ დავთვრე მოგონებებით, რომ მეც საზარლად ვიქვითინო და ვიქვითინო...“

ლექსის პერსონაჟის სასოწარკვეთილების მიზეზი ახსილია რწმენის, ყვავი-ლების დაკარგვით: „ოჰ, რად, მომექცა ასე უღვთოდ მე ჩემი ბედი, რად დამიმსხ-ვრია სიყმაწვილის წრფელი სიამე, სადაა ჩემი ყვავილები, სადაა რწმენა, ზეცავ, სასტიკო, მიპასუხე, მითხარი რამე“ („ელეგია“) (ტაბიძე 1993: 30).

აქვე საუბარია „გაზაფხულის მზიანი ჩრდილის“ გაქრობაზე, რაც რწმენის უარყოფაზე მიგვანიშნებს, რადგან წმინდა წერილში გაზაფხული (ძველი ქართუ-ლით ზაფხული) საღვთო სახელია: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევადან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 68, 12) (ბიბლია 2013: 588). ყვავი-ლები უფლის სიმბოლური სახელია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გა-ლობისა მოიწრა და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ („ქებათა ქება სოლო-მონისა“) (ბიბლია 2013: 448).

ღვინით, პოეზიით ან სულის სილამაზით თრობაზე გალაკტიონის წინამორბედი ფრანგი პოეტი შარლ ბოდლერიც მოგვიწოდებდა, აკი უკვდავყო კიდეც ქართველმა პოეტმა მისი სახელი ლექსში „რომელი საათია“: „იყო შარლ ბოდლერი: მწარე და ძვირფასი თრობის საათია, ღვინის საათია!..“ (ბოდლერი 1992: 70). „ბოროტების ყვაკილების“ ავტორისთვის მთავარი იყო „ღვინით, სათნოებით ან პოეზიით თრობა“ („ითრობოდეთ“) (ბოდლერი 1991: 34). ბოდლერთან იხსენება „ღვინის სული, მთვრალი მზერა, მიჯნურთა ღვინო, მარტოკაცის ღვინო“ (ბოდლერი 1992: 174, 175, 186).

ფრანგი სიმბოლისტი პოეტის – პოლ ვერლენისთვის „მთვრალი სიმღერა არის ძვირფასი – ნათელ ბოდვაში მიეძენება“. მისი მთავარი მოწოდებაა: „გამოაქროლე ლექსი ჭალებით – მთვრალი სურნელთა იღუმალეებით“ (ფრანგი პოეტები 1997: 422-423).

არტურ რემბოს შედევრის – „მთვრალი ხომალდის“ შესახებ აღნიშნულია, რომ „რემბო თვითონ იყო ეს მთვრალი ხომალდი“ (გაფრინდაშვილი 1990: 586).

ღვინის ფიალას ოცნებით თრობას უკავშირებს სულით ობოლი გალაკტიონი: „... ხანდახან ღვინით სავსე ფიალით მოკლე ხნით გათრობს ოცნებათ ბოლი, მაგრამ რას აქნევ წუთიერ შვებას, შენ სულითა ხარ ქვეყნად ობოლი“ („რა წამებაა“). საოცარი ენიგმებია: „დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს ივლისისფერი ყინვის თასებით“ („ალვები თოვლში“), ან „გემი, მიჩვეული გრიგალთ თრობას“ („ქალაქი წყალზე“).

თრობის ასპექტში ყურადღებას იქცევს წმინდა წერილი: „განმადლო მე სიმწარითა, დამათრო მე ნაღვლითა“ („გოდება იერემიასი“) (ბიბლია 2013: 3, 15, 612). რწმენა, ღვინის სახეში მოაზრებული ღმერთი იყო გალაკტიონის მფარველი – „ფარი“: „ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ... დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება. ღამეა, საცაა სანთელი ჩამიქრება. ოცნება წარსულზე და ღვინის ფარები... უეცრად გრიგალმა დააღო კარები და ბინა პოეტის გადიქცა ქვითინად. ... მე თვალთ ვეძებდი ზამბახის პრინცესას, მწყუროდა ცისფერი ვარდები“ („ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ“) (ტაბიძე 1977: 287). ლექსში საღმრთო სახელებია ღვინო, სანთელი, ცისფერი ვარდები. პოეტი ეძებდა „ზამბახის პრინცესას“, ანუ ძე ღმერთის დედას, რომელიც წმინდა წერილში მოიხსენება, როგორც „დედოფალი, „მეფის ასული“ (ფს. 44, 10, 14) (ბიბლია 2013: 569).

გრიგალი სიმბოლოა ურწმუნოების. სულიერი კატაკლიზმების ჟამს პოეტის „ფარი“ იყო „ღვინო“, ანუ ღმერთი, რწმენა უზენაესის. ფსალმუნში ღმერთს ეწოდება „ფარი“, „ფარი ხსნისა“ (ფს. 17, 31, 36) (ბიბლია 2013: 538). „ძლიერ ღვინოს“ პოეტი ეზიარებოდა „ალის თასით“: „... ალის მომეცით თასი, სავსე ძლიერი ღვინით“ („ალის თასი“) (ტაბიძე 1993: 54). „ძლიერი ღვინო“ და „ალი“ (ცეცხლი) ქრისტეს სიმბოლოებია, თასი – მარიამ ღვთისმშობლის.

რელიგიური მნიშვნელობისაა ღვინო, მტევნები, ცეცხლი, მზე, გაზაფხული, სიხარული. ლექსებში „მივაშუროთ, მზის სადღეგრძელოს, აღმატება ყოველგვარ ძალას, დადგა აგვისტო, შემოდგომა“, ხოლო ამავე ნიმუშებში თასი, ჭიქა, აზარფუშა მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია. „ამ ვარდობისთვის ვარდებით ვთვრები, კარგია თრობა, ო, მებრალება მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა“, ნათქვამია ლექსში „მაისის ისრით“ (ტაბიძე 1977: 422) და აშკარა ხდება, რომ თრობას (რწმენით) ქრისტიანულ მორალს, მტრის შენდობას, მიტევების პრობლემასაც უკავშირებდა პოეტი. ანალოგიური შინაარსია მისივე გახალხურებულ ფრაზებშიც: „ხანჯლებს დავფარავ ისევ იებით“...

თრობა სიყვარულით, ყოფნით, ცეცხლით, ვარდებით, მაისის თვალებით, ძველი ღვინით რწმენით თრობაა, რადგან ეს სახელები უზუნაესის სიმბოლოებია. წმინდა წერილში, ღვთისმეტყველებაში, სასულიერო პროზასა და პოეზიაში.

ტერენტი გრანელი „ჯავრით თრობაზე“ აკეთებდა აქცენტს.

ხელოვნებისთვის შეწირული გალაკტიონი ტკივილების, დარდის დასავიწყებლადაც თვრებოდა: „ისევ ერთად მივალთ მთვრალი მე და ჩემი ძველი დარდი“, წერს ერთგან. დარდის, ტკივილის, გულის სისხლის, მსხვერპლის გაღების გარეშე არ იქმნება ხელოვნების შედეგები. უკიდევანოა გალაკტიონის შემოქმედებაში თრობის არეალი. „შემოდგომის ღღეში“ საუბარია „ყვითელ ფოთლებით თრობაზე“, პოეზიით, მუსიკით თრობაზე (ტაბიძე 1993: 222).

„მოგონებით თრობა“ იქცევს ყურადღებას ლექსში „ავრორა“. „ღვინის ფიალით და „ოცნების ზოლით“ თრობაზეა საუბარი ლექსში „რა წამებაა“. ერთგან წერს: „გემი, მიჩვეული გრიგალით თრობას“ („ქალაქი წყალზე“) (ტაბიძე 1993: 258). „ნეტარ წუთებით მთვრალ სიყმაწვილის ბედნიერი ღღეხია“ ლექსში „სიზმარში ვნახე ყვავილებს ვკრეფდი“. საოცარი იდუმალებით სავსე ლექსია „გობელენი“, რომელშიც საუბარია „იქაურ ცაზე“ („ცათა ცაზე“), სულამითზე („ქებათა ქების პერსონაჟზე“), ნისლის წამოსასხამზე, ღამის ღამით თრობაზე, უხილავ გზებზე: „... აღექსთა უხვი და უხმო ველი დამფარავს ნისლთა წამოსასხამით და დათრობაში ამ ღამის ღამით უხილავ გზებით შთავა ყოველი“ (ტაბიძე 1993: 195).

„ღვინის ფიალით“ და ოცნების ზოლით თრობაზეა მინიშნება ლექსში „რა წამებაა“. პოეტი მთვრალი იყო საღვთო სიყვარულით, ის „სავსე ფიალით“ ეწაფებოდა ოცნებას, მშვენიერებას („იმედთა ნაცვლად“) (ტაბიძე 1977: 47). არსებითად, რას გულისხმობდა გალაკტიონი თრობის ცნებაში, ამის პასუხი კარგად ჩანს მის წერილში „ნარკოზი და ხელოვნება“: „ხელოვნება საუკეთესო ნარკოზია ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით... არაყი და ღვინო... ვერ შექმნის შინაგან შეგნებას. ფსიქოლოგიური მომენტი ნარკოზის ხმარებისა არის ცხოვრებით უკმაყოფილება, სადაც ხელოვნების სახელით იკრიბებიან ადამიანები, იქ ადგილი არა

აქვს მთვრალ კომპანიას... სადაც აყვავებულია ხელოვნება, იქ შესაფერისადვე ის-პობა მთვრალობა. ხელოვნება სდევნის, აძევებს ალკოჰოლს... ხელოვნება ამრავალფეროვნებს ცხოვრებას... აახლოებს სინამდვილეს იდეალთან და ამსუბუქებს ცხოვრებით უკმაყოფილების გრძნობას“ (ტაბიძე 1989: 273-274)

გალაკტიონისთვის უპირველესი იყო ზეციური ვაზი, რომლის „ღვინოსაც“ (რწმენას) პოეტი გამუდმებით ეწაფებოდა.

საგულისხმოა ნოდარ ტაბიძის განაცხადი: „სიშორის შენის სიახლოვე“... ასეთი ლექსები ანატომიურ ჩხრეკას კი არა, ინტუიციურ წვდომას და თრობას მოითხოვენ. „გალაკტიონის პოეზია იყო სულის რევოლუციასთან ფორმის რევოლუციასთან, ხოლო მათი ავტორი – კაცი გამოცანა, კაცი ლეგენდა“ (ტაბიძე 1989: 10-12). ასევე, გვახსენდება გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლიდან მურმან ლებანიძის ასეთი ღრმააზროვანი სტრიქონები: „...ის მთვრალი იყო, როგორც ყოველთვის... თვისი სიდიდით ის იყო მთვრალი“ („ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ“) (ლებანიძე 1990: 9).

პოეტების მეფის ტრიადა: „მუსიკა, ღვინო და ყვავილები“, ასევე აქცენტირებაა მხატვრული სიტყვის რელიგიურობაზე. განაცხადი: „ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია“ – ხაზგასმია „მთაწმინდის მთვარის“ ავტორის ღვთაებრივ სიწმინდეზე.

ზაზა აბზიანიძე იმომენტებს გალაკტიონის პატარა ლიტერატურულ ჩანახატს მამია გურიელის „მემთვრალეობაზე“: „ის სვამდა ღვინოს, მაგრამ ლოთი არ იყო. სვამდა მისთვის, რომ თავდავიწყებას მისცემოდა, რომ გალუცინაციებში შეჭრილიყო, შეიძლება იმიტომაც, რომ ამით მოესპო სიცოცხლე და ფორმალური თვითმკვლელობით გამოწვეულ სკანდალებს აცილებოდა, ვინ იცის?!“

„... ვინ იცის, მხოლოდ მამია გურიელი იგულისხმება გალაკტიონის ესკიზში, თუ მისივე ცხოვრების ქარგა უნებლიედ კარნახობდა პოეტს ამ ნაღვლიან სიტყვებს“, აცხადებს მეცნიერი (გალაკტიონოლოგია 2019: 29).

გალაკტიონის ლირიკით მონუსხულებს, ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ ამ სიტყვის ჯადოქარის პოეზიით თრობა (იაკობ ბობოხიძე, „მისი პოეზიით მთვრალეები“) (გალაკტიონოლოგია 2004). აი რას წერს გალაკტიონის სიმთვრალეზე მიხეილ კვესელავა: „ასეთი თრობა ხომ პოეტური ალეგორიაა... გალაკტიონი მუდამ მთვრალი იყო... პოეზიით, შინაგანი შემოქმედებითი დაძაბულობით, მწუხარებით, სილამაზით, სიკეთით, სიყვარულით, საკუთარი სიდიადის შეგნებით. სრულყოფილი მშვენიერების ხილვის სიხარულით და... ზოგჯერ ღვინითაც, რა თქმა უნდა“ (კვესელავა 1977: 326).

პრობლემას ასე ეხმიანება ემზარ კვიტიაშვილი: „გალაკტიონის ლექსებში ხშირად ნახსენები თრობა, ცისფერი ღვინოები, დაუღუპელი სადღეგრძელოები. ეს თრობა სხვა თრობა იყო. უმაღლესი პოეზიის ნეტარი წუთებით გაბრუება. მის

ხელთ ნაჭერი უძველესი თასიც ღვინით კი არა, ფიცით იყო სავსე, მამულისთვის თავდადების ურყევი ფიცით“ (კვიტაიშვილი, 1981: 85).

გალაკტიონს გათავისებული ჰქონდა ჰამლეტის, ღონ კიხოტის, ფაუსტის ნიღბები („ჩემი როლი ნიღბით იყო სული ნიღბის“), მაგრამ თავის გადასარჩენად ლოთის ნიღბიც, რევოლუციონერის იმიჯიც სჭირდებოდა და „თხზავდა რევოლუციის მომღერალი, აბოხოქრებული მასათა ტრიბუნის პორტრეტს... უნიჭო პროპაგანდისტული ლექსები დაეხვავებინა, ლოთის ნიღბი მოერგო“ (ჩხეიძე 2016: 99, 100, 285, 883, 884).

დიდ ამერიკელ შემოქმედს, მხატვრული სიტყვის განუმეორებელ ოსტატს – ედგარ პოს არ დაჰკლებია გიჟის, გადარეულის, ალკოჰოლიკის, ნარკომანის ეპითეტები. „ყორანის“ ავტორი თვითონვე აღიარებს, რომ სიამოვნების გამო კი არ ეტანებოდა სმას, არამედ იმისთვის, რომ გაქცეოდა „მტანჯველ მოგონებებს, დაუძლეველი მარტოობის შეგრძნებებს და გაურკვეველი ბედისწერის წინაშე ძრწოლას“ (ესეები 1989: 538).

ლექსში „ულალუმი“ პოეტი ასე მიმართავს გარდაცვლილი სატრფოს სულს: „... ჩვენ განვიბანოთ სპეტაკი ალით და შევიმოსოთ უწმინდეს ალით. სიბილას ცეცხლით ჩაგვკოცნება ხარბი თვალები, იმედით მთვრალი“ (გაფრინდაშვილი 1990: 400-401). „სპეტაკი ალი“, „უწმინდესი ალი“, იმედი საღვთო სახელებია და ასეთი თრობა ხაზს უსვამს ედგარ პოს მორწმუნეობას, რწმენასთან ზიარებას და ეთანაბრება გალაკტიონის განაცხადს: „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით“...

ამერიკელი პოეტი, როგორც „ლურჯა ცხენების“ ავტორი, თვრებოდა კოლიზუმიტან - „სიდიადით, მწუხარებით, დიდებით, ჩრდილით, დილებით“ („კოლიზუმი“) (პო 1911: 18). „პაემანში“ საუბარია „ბრწყინვალეობით თრობაზე“ (პო 2011: 61-74); „ზარებში“ ნათქვამია: „როცა ქალი მთვარით თვრება“ (პო 2001: 135); მთვარე საღვთისმშობლო სახელია, ანუ აქაც რწმენით თრობაზეა მინიშნება. ნიჭი, მორწმუნეობა, ობიექტურობა, სიკეთე იყო ამ პოეტების უკვდავების უპირველესი გარანტი.

დასკვნა. ამრიგად, ამერიკელი სიტყვის ოსტატის ედგარ ალან პოს და ქართველი „პოეტების მეფის“ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში წამყვანი ერთ-ერთი მოტივებია ადამიანის არსებობის სიმთვრალე, სიცოცხლე, ცეცხლი, ღვინო, იმედი, თუმცა ეს მეტაფორული გამოთქმა არ ეხება ალკოჰოლით სიმთვრალეს, რადგან ის პირდაპირ კავშირშია ქრისტიანული რელიგიის რწმენასთან - ყოფნა, სიცოცხლე, ცეცხლი, ღვინო, იმედი ეს ყოველოვე ბიბლიურია და წმინდა წერილის მიხედვით ღვთაებრივი სახელებია. შესაბამისად, თრობის აპოლოგიის კონცეპტი გალაკტიონ ტაბიძისა და ამერიკელი პოეტისა და ნოველისტის ედგარ

ალან პოს შემოქმედებაში გამოწვეულია მტანჯველ მოგონებებთან და დაუძლეველ მარტოობასთან, რაც ქრისტიანული სწავლების გააზრებისკენ უბიძგებდა ავტორებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახალი აღთქმა და ფსალმუნები (1992) ახალი აღთქმა და ფსალმუნები. მთარგმნელები ზურაბ კიკნაძე, მალხაზ სონღულაშვილი. რედაქტორი ბორისლავ არაპოვიჩი, საიმონ კრისპ. გადამუშავებული გამოცემა. სტოკჰოლმი, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი;

ბიბლია (2013) ბიბლია, (ძველი და ახალი აღთქმა), დაიბეჭდა... სრ. საქ. კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი;

ბოდლერი (1991) შარლ ბოდლერი, ლექსები პოზად, (პარიზის სპილინი), ფრანგულიდან თარგმნა ზვიად გამსახურდიამ. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია, თბილისი, გამომცემლობა „საქართველო“;

ბოდლერი (1992) შარლ ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, ბოროტების ყვავილები = Les fleurs du mal, ლექსები. ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა. რედაქტორი ვახუშტი კოტეტიშვილი, პირველი გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა „იანუსი“;

გალაკტიონოლოგია (2019) კრებული გალაკტიონოლოგია, II, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გალაკტიონის კვლევის ცენტრი, თბილისი;

გალაკტიონოლოგია (2004) გალაკტიონოლოგია, III, თბილისი;

გაფრინდაშვილი (1990) ვალერიან გაფრინდაშვილი, ლექსები, პოემა, თარგმანები, ესეები, წერილები, მწერლის არქივიდან, შემდგენელ-რედაქტორი მარინე ჭყონია. რედაქტორი გურამ გვერდწითელი, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“;

ესეები (1989) ესეები, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. თბილისი, გამომცემლობა „მერანი“;

კვესელავა (1977) მიხეილ კვესელავა, პოეტური ინტეგრალები. გალაქტიონ ტაბიძე და თანამედროვე პოეზია. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;

კვიტაიშვილი (1981) ემზარ კვიტაიშვილი. დაკვირვებები გალაკტიონის ლირიკაზე. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბილისი;

- ლებანიძე (1990): მურმან ლებანიძე, ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ, თბილისი;
- პო (1911) ედგარ პო ოთხ ტომად, ტ. II, თარგმანი ინგლისურიდან კონსტანტინე ბალმონტის, მოსკოვი, რუსულ ენაზე;
- პო (2001) ედგარ პო, რჩეული ლირიკა, = Selected verse, რედაქტორ შემდგენელი ლეილა გამსახურდია, კოტე ჯანდიერი. პირველი გამოცემა. გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი;
- პო (2011) ედგარ პო, მოთხრობები, თარგმანი ზაურ კილაძის, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი;
- სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა (1990): სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, წიგნი I, შემდგენლები: გელა აროშვილი, ზურაბ აროშვილი, გიორგი გაბაშვილი. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი;
- ტაბიძე (1973) გალაკტიონ ტაბიძე, 12 ტომად, ტ. 11, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;
- ტაბიძე (1977) გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;
- ტაბიძე (1989) გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული ლექსები, პოემები, მიმოწერა, „განათლება“, თბილისი;
- ტაბიძე (1993) გალაკტიონ ტაბიძე, ხუთ ტომად, ტ I. ლექსები. შემდგენლები: ხუტა გაგუა, ჯანსუღ ღვინჯილია, ვახტანგ ჯავახაძე. გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი;
- ტაბიძე (2014) გალაკტიონ ტაბიძე, გამომცემლობა „პალიტრა L“;
- ფრანგი პოეტები (1997): ფრანგი პოეტები, თარგმანი ფრანგულიდან გივი გეგეჭკორის, თბილისი;
- ჩხეიძე (2016): როსტომ ჩხეიძე, კომიკოსი ტრაგედიაში, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბილისი;